

შპს „ორიენტი“

ID: 202163292 ტელ: 2341871

ელ. ფოსტა: info@orientgeo.com

ფაქტიური მის: გრიგოლ ლორთქიფანიძის ქ 154

იურიდიული მის: ქ. თბილისი, წერეთლის #13



“ORIENT” LTD ს/ნ: 202163292

Tel: 2341871

E-mail: info@orientgeo.com

Tbilisi 0137, Grigori Lordkipanidze 154

Georgia, Tbilisi, Tsereteli #13

ძირითადი საქმიანობა

შპს „ორიენტი“ (შემდგომში „ორგანიზაცია“) დაფუძნდა 2000 წლის 2 ივნისს, მარეგისტრირებული ორგანო არის დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნის სასამართლო, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, წერეთლის გამზ. N13, ბ. N1. კომპანიის დამფუძნებელი და 100% წილის მფლობელი არის ნუმან კორაი დემირჩენქი.

ორგანიზაციის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ტბილუღით, საყოფაცხოვრებო და ჰიგიენური საშუალებებით ვაჭრობა.

დანართი N1 და დანართი N2-ში მოცემულია 2025 წლის ფინანსური მდგომარეობის და სრული შემოსავლის არა აუდიტირებული ანგარიშგება.

გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში, მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხო ვალუტაში. ფული და ფულადი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ფული და ფულადი ექვივალენტები

	12/31/2022	12/31/2023	12/31/2024
ლარი საბანკო ანგარიშებზე	8,688	12,736	88,613.92
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე		2,221	5.61
ნაღდი ფული საღაროში	11,145	67	29.20
ჯამურად ნაღდი ფული საღაროში	11,145	67	88,649
სულ ფული და ფულადი ექვივალენტები	19,834	15,023	88,649

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან, რომელზეც კომპანიამ დამკვეთს მიაწოდა გარკვეული სახის საქონელი/მომსახურება, აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანიის ბალანსზე არ არის იდენტიფიცირებული არსებითი ღირებულების უიმედო ვალები და მიმდინარე მოთხოვნების ვადაგადაცილებული დავალიანება. შესაბამისად მენეჯმენტი არ ახორციელებს მათ დარეზერვებას პერიოდის ბოლოს.

სავაჭრო მოთხოვნები

	12/31/2023	12/31/2024
სავაჭრო მოთხოვნები	3,656,554	4,321,901
სულ მიმდინარე მოთხოვნები	3,656,554	4,321,901

შპს „ორიენტი“

ID: 202163292 ტელ: 2341871

ელ. ფოსტა: info@orientgeo.com

ფაქტიური მის: გრიგოლ ლორთქიფანიძის ქ 154

იურიდიული მის: ქ. თბილისი, წერეთლის #13



“ORIENT” LTD ს/ნ: 202163292

Tel: 2341871

E-mail: info@orientgeo.com

Tbilisi 0137, Grigori Lordkipanidze 154

Georgia, Tbilisi, Tsereteli #13

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალოდ მარაგების და შესაბამის შემთხვევებში უშუალოდ იმ ზედნაღებ ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა სასაქონლო-მატერიალური მარაგების მათ თავდაპირველ მდგომარეობაში მოსაყვანად.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. ბალანსზე რიცხული მარაგები არ წარმოადგენს მალფუჭებად პროდუქციას და არის სწრაფად ბრუნვადი რის გამოც არ არის იდენტიფიცირებული არაბრუნვადი მარაგები. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი ღირებულებით.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	12/31/2023	12/31/2023
სავაჭრო საქონელი	1,102,375	3,143,652
საწვავი	9,088	1,804
ნედლეული და მასალები	42,522	55,556
სარეკლამო მასალები		
ოფისის ავეჯი	1,973	1,973
ავტონაწილები		
დაუმთავრებელი წარმოება	12	
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	1,155,969	3,202,984

ძირითადი საშუალებები

ბალანსზე აღრიცხული ძირითადი საშუალებები მოცემულია ისტორიული ღირებულებით მინუს ცვეთა, რომელიც მოიცავს აღნიშნული აქტივების ღირებულებას და იმ ზედნაღებ დანახარჯებს, რომელიც გაწეული იყო მათ საექსპლუატაციოდ.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა გაიანგარიშებს ამოსაღებ თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორიდან უფრო მაღალი ღირებულება: აქტივის რეალური ღირებულება სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით, და აქტივის გამოყენების ღირებულება. პერიოდის ბოლოს ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების საბაზრო ღირებულება არსებითად არ განსხვავდება რეალური საბაზრო ღირებულებისგან და არ საჭიროებს შეფასებას.

პერიოდის ცვეთის ხარჯი

მიწას, ხელოვნების ნიმუშებსა და მიმდინარე მშენებლობას ამორტიზაცია არ ერიცხება. ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, ქვემოთ მოცემული საექსპლუატაციო პერიოდის შესაბამისად

• კავშირგაბმულობის საშუალებები	5-10
• ოფისის აღჭურვილობა	5-10
• კომპიუტერული ტექნიკა	5-10
• ავეჯი და ინვენტარი	5-10
• სატრანსპორტო საშუალებები	5
• სარეკლამო საშუალებები	3-5

შპს „ორიენტი“

ID: 202163292 ტელ: 2341871

ელ. ფოსტა: info@orientgeo.com

ფაქტიური მის: გრიგოლ ლორთქიფანიძის ქ 154

იურიდიული მის: ქ. თბილისი, წერეთლის #13



“ORIENT” LTD ს/ნ: 202163292

Tel: 2341871

E-mail: info@orientgeo.com

Tbilisi 0137, Grigori Lordkipanidze 154

Georgia, Tbilisi, Tsereteli #13

ძირითადი საშუალებები

საწყისი ღირებულება

ბალანსი 31/12/2020

დანამატები

აქტივების ჩამოწერა

ცვეთა პერიოდისათვის

ჩამოწერილი აქტივების ცვეთა

ბალანსი 31/12/2021

დანამატები

აქტივების ჩამოწერა

ცვეთა პერიოდისათვის

ჩამოწერილი აქტივების ცვეთა

ბალანსი 31/12/2022

დანამატები

აქტივების ჩამოწერა

ცვეთა პერიოდისათვის

ჩამოწერილი აქტივების ცვეთა

ბალანსი 31/12/2023

ბალანსი 31/12/2021

ბალანსი 31/12/2022

ბალანსი 31/12/2023

ბალანსი 31/12/2024

კავშირგაბმულო ბის საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	კომპიუტერული ტექნიკა	ავტო და ინვენტარი	სარეკლამო საშუალებები	სატრანსპორტო საშუალებები	ოჯარით არებული ქონების კეთილმოწყობა
	(2,949)	634	598	10,014	(7,344)	(277)
	115,846	4,167		17,635	33,293	
	(2,787)	(515)	(70)	(6,063)	(1,135)	(6)
-	110,110	4,286	528	21,587	24,814	(283)
11,538	4,394	3,977	1,278			
	(114,302)		(468)			283
	(3,131)	(1,402)	(152)	(8,463)	(2,252)	
	4,558					
11,538	1,629	6,862	1,185	13,123	22,562	0
	9,173	2,104				
	(3,885)					
(2,308)	(800)	(1,766)	(158)	(7,455)	(6,659)	
9,231	6,117	7,200	1,027	5,668	15,903	
-	110,110	4,286	528	21,587	24,814	(283)
11,538	1,629	6,862	1,185	13,123	22,562	0
9,231	6,117	7,200	1,027	5,668	15,903	-
7,438	224	6,800	725	-	9,245	-

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება აქტივად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ

ა) მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ორგანიზაცია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და

ბ) შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით.

ბალანსზე რიცხული არამატერიალური აქტივები მოიცავს ეკონომიკური საქმიანობაში გამოყენებულ პროგრამულ უზრუნველყოფას.

სავაჭრო ვალდებულებები და მომწოდებლისთვის გადახდილი ავანსები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოუქვითავია გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილი ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

შპს „ორიენტი“

ID: 202163292 ტელ: 2341871

ელ. ფოსტა: info@orientgeo.com

ფაქტიური მის: გრიგოლ ლორთქიფანიძის ქ 154

იურიდიული მის: ქ. თბილისი, წერეთლის #13



“ORIENT” LTD ს/ნ: 202163292

Tel: 2341871

E-mail: info@orientgeo.com

Tbilisi 0137, Grigori Lordkipanidze 154

Georgia, Tbilisi, Tsereteli #13

საანგარიშო პერიოდის ბოლოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია პერიოდის ბოლოს არსებული ვალდებულებები მომწოდებლების წინაშე, მათზე გადახდილი ავანსები, სახელფასო ვალდებულებები და სხვა მიმდინარე გადახადები.

მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები

	12/31/2023	12/31/2024
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	1,285,208	1,097,399
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	17,952	13,730
სულ მიმდინარე ვალდებულებები	1,303,159	1,111,129

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების ხარჯები. პირველადი აღიარების შემდეგ მათი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ნასესხები სახსრების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება. კომპანიას საანგარიშო პერიოდში გააჩნია საბანკო სასესხო ვალდებულებები სს „იმ ბანკში“. აღნიშნული სესხები არის სხვადასხვა ვალუტაში, 1 წლამდე დაფარვის ვადით. გარდა ამისა კომპანია სარგებლობს საკრედიტო ხაზითაც.

მოკლევადიანი სესხები

	12/31/2023	12/31/2024
მოკლევადიანი სესხები	1,806,855	3,144,603
სულ მოკლევადიანი სესხები	1,806,855	3,144,603

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის უფლებამოსილი საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ.

დივიდენდები

დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდში დივიდენდი გამოცხადებული არ არის.

დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქტაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქტაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქტაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშგაქტურის მიღებისთანავე. პერიოდის შემოსავლები მოიცავს დასაბეგრს და დაუბეგრავი მომსახურებით მიღებულ შემოსავლებს, რომლებზეც ხდება პროპორციული ჩათვლები და წარდგენილია დეკლარაციები შესაბამისი პროპორციის გამოყენებით.

შპს „ორიენტი“

ID: 202163292 ტელ: 2341871

ელ. ფოსტა: info@orientgeo.com

ფაქტიური მის: გრიგოლ ლორთქიფანიძის ქ 154

იურიდიული მის: ქ. თბილისი, წერეთლის #13



“ORIENT” LTD ს/ნ: 202163292

Tel: 2341871

E-mail: info@orientgeo.com

Tbilisi 0137, Grigori Lordkipanidze 154

Georgia, Tbilisi, Tsereteli #13

შემოსავალი რეალიზაციიდან და გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება

შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება მოსალოდნელი ფასდათმობისა და სხვა მსგავსი შედავათების საფუძველზე.

პერიოდის თვითღირებულების ხარჯი მოიცავს ჩამოწერილ მარაგების თვითღირებულებას და მის გაყიდვაზე გაწეულ პირდაპირ დანახარჯებს,

შემოსავალი რეალიზაციიდან და თვითღირებულება

	12/31/2023	12/31/2023
შემოსავალი რეალიზაციიდან	10,232,358	11,850,824
გაყიდული მარაგის თვითღირებულება	(3,683,523)	(4,184,149)
სულ წმინდა შემოსავალი	6,548,835	7,666,675

ხარჯები

საწარმო ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ. საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯების ძირითადი ნაწილი მოიცავს ხელფასის, ცვეთის და სხვა ადმინისტრაციულ ხარჯს, რომელშიც გაერთიანებულია საოპერაციო საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები.

ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ.

ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები

	12/31/2023	12/31/2024
რეკლამის ხარჯი	4,135,947	5,578,046
მიწოდების სხვა ხარჯები		18,145
საწვავის ხარჯი	140,228	168,662
სამეურნეო ხარჯი	15,312	28,851
საღარიბო აპარატების, ტელეფონების, სათვალთვალო კამერების ხარჯი		1,752
საკანცელარიო ხარჯი	4,483	4,001
საკონსულტაციო ხარჯი	60,888	59,394
საბანკო ხარჯი	8,266	8,233
კავშირგაბმულობის ხარჯი		12,809
დაზღვევის ხარჯი	12,654	14,293
მივლინების ხარჯი		
ავტომობილის შენახვის ხარჯი	87,475	75,945
რემონტის ხარჯი		
წარმომადგენლობითი ხარჯი	7,278	9,561
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	148,442	1,816,657
სულ ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები	4,620,974	7,796,349

შპს „ორიენტი“

ID: 202163292 ტელ: 2341871

ელ. ფოსტა: info@orientgeo.com

ფაქტიური მის: გრიგოლ ლორთქიფანიძის ქ 154

იურიდიული მის: ქ. თბილისი, წერეთლის #13



“ORIENT “ LTD ს/ნ: 202163292

Tel: 2341871

E-mail: info@orientgeo.com

Tbilisi 0137, Grigori Lordkipanidze 154

Georgia, Tbilisi , Tsereteli #13

დანართი N 1

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	1/1/2023	1/1/2024	1/1/2025
აქტივები			
ფული და ფულადი ექვივალენტები	19,834	15,023	88,649
დებიტორული დავალიანება	3,664,972	3,656,554	4,321,901
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	743	55	171
საქონელი, ნედლეული და მასალები	840,390	1,155,969	647,084
წინასწარ გადახდილი გადასახადები			
სხვა	0		
ჯამურად მიმდინარე აქტივები	4,525,939	4,827,602	5,057,805
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	56,899	45,145	31,060
არამატერიალური აქტივები			
ჯამურად გრძელვადიან აქტივები	56,899	45,145	31,060
სულ აქტივები	4,582,838	4,872,747	5,088,865
ვალდებულებები			
კრედიტორული დავალიანება	2,649,812	1,285,208	1,097,399
გადასახდელი ხელფასები	16,654	57,743	93,876
საგადასახადო ვალდებულებები	75,013		25,122
გადასახდელი პროცენტები			
სხვა ვალდებულებები (საგარანტიო თანხები)	14,733	17,952	13,730
მოკლევადიანი სესხები	425,764	1,806,855	3,144,603
სულ ვალდებულებები	3,181,977	3,167,757	4,374,730
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი შპს-ში	26,237	26,237	26,237
წინა წლების გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი	(224,602)	1,357,923	1,695,790
მიმდინარე წლის მოგება/ზარალი	1,599,226	320,830	(1,007,892)

შპს „ორიენტი“

ID: 202163292 ტელ: 2341871

ელ. ფოსტა: info@orientgeo.com

ფაქტიური მის: გრიგოლ ლორთქიფანიძის ქ 154

იურიდიული მის: ქ. თბილისი, წერეთლის #13



“ORIENT” LTD ს/ნ: 202163292

Tel: 2341871

E-mail: info@orientgeo.com

Tbilisi 0137, Grigori Lordkipanidze 154

Georgia, Tbilisi, Tsereteli #13

სულ კაპიტალი	1,400,861	1,704,990	714,134
--------------	-----------	-----------	---------

სულ ვალდებულებები და კაპიტალი	4,582,838	4,872,747	5,088,864
-------------------------------	-----------	-----------	-----------

დანართი N 2

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	2023	2024
შემოსავლები რეალიზაციიდან	10,232,358	11,850,824
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(3,683,523)	(4,184,149)
მთლიანი მოგება	6,548,835	7,666,675
ცვეთის ხარჯი	(19,145)	(20,320)
სახელფასო ხარჯები	(1,284,044)	(1,521,299)
საიჯარო ხარჯი	(259,217)	(295,358)
საოპერაციო ხარჯები	(4,620,973)	(6,514,241)
სულ საოპერაციო ხარჯები	(6,183,380)	(8,351,219)
საპროცენტო შემოსავლები		
საპროცენტო ხარჯები	(96,963)	(215,632)
ფინანსური შედეგი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	84	4,167
არასაოპერაციო ზარალი		
კურსთაშორის სხვაობა	21226	(155,165)
არასაოპერაციო შემოსავალი	31,028	43,282
სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი	(44,625)	(323,348)
მოგება დაბეზვრამდე	320,830	(1,007,892)
მოგების გადასახადი		
წმინდა მოგება	320,830	(1,007,892)

შპს „ორიენტი“

ID: 202163292 ტელ: 2341871

ელ. ფოსტა: info@orientgeo.com

ფაქტიური მის: გრიგოლ ლორთქიფანიძის ქ 154

იურიდიული მის: ქ. თბილისი, წერეთლის #13



“ORIENT” LTD ს/ნ: 202163292

Tel: 2341871

E-mail: info@orientgeo.com

Tbilisi 0137, Grigori Lordkipanidze 154

Georgia, Tbilisi, Tsereteli #13

დირექტორი

ნუმან კორაი დემირენქი

30.09.2025

